

უმაღლესი საჯარო მოსამსახურის - გენერალური მდივნის ინსტიტუტი
ეფექტიანი საჯარო ადმინისტრირებისთვის

ცოტნე ხვიჩია

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამართლის სკოლაში საჯარო სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნების შესაბამისად*

სამაგისტრო ნაშრომი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ვახტანგ მენაბდე, ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

აბსტრაქტი

2014 წლიდან საქართველოს საჯარო სექტორში მიმდინარეობს საჯარო მმართველობის რეფორმის იმპლემენტაცია. აღნიშნული რეფორმის დანერგვის აუცილებლობა განპირობებული იყო ერთი მხრივ, არსებული საჯარო ადმინისტრირების მთელი რიგი სისტემური ხარვეზებით და მეორე მხრივ, საქართველო - ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების რატიფიცირებით. რეფორმის ერთ-ერთ არსებით მიმართულებად განისაზღვრა საჯარო სამსახური, კერძოდ, დამსახურებაზე დაფუძნებული საჯარო სამსახურის ჩამოყალიბება. ამ ეტაპზე პოლიტიკური ზეგავლენისკენ საჯარო სამსახურის მიდრეკილება იდენტიფიცირდა ერთ-ერთ შემაფერხებელ გარემოებად, თუმცა, ამ თვალსაზრისით, მიუხედავად იმისა, რომ რეფორმა თითქმის ხუთ წელს ითვლის, არ გვაქვს ხელშესახები შედეგები.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონმა გარკვეულწილად შექმნა საჯარო სამსახურის დაცვის გარანტიები პირდაპირი და არაპირდაპირი პოლიტიკური ზეგავლენისგან, მაგრამ ცვლილებებმა ვერ უზრუნველყო ზემოთ აღნიშნული მიდრეკილების გაქარწყლება. აღნიშნული კი გამოწვეულია საჯარო პოლიტიკასა და ადმინისტრირებას შორის მკაფიო მიჯნის არარსებობით.

წინამდებარე ნაშრომი ეხება უმაღლეს საჯარო მოსამსახურეს - გენერალურ მდივანს. ნაშრომში განხილულია რამდენად შეუწყობს ხელს აღნიშნული ინსტიტუტის ჩამოყალიბება პოლიტიკური და ადმინისტრაციული უფლებებისა და პასუხისმგებლობების მკაფიოდ განსაზღვრას, შესაბამისად, ცენტრალური აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების (სამინისტროები) მმართველობის ეფექტურობისა და ეფექტიანობის გაზრდას.

ნაშრომში გამოყენებულია შედარებითი სამართლებრივი ანალიზისა და ლოგიკური ანალიზის მეთოდი. უმაღლესი საჯარო მოსამსახურის როლი განხილულია საქართველოს მსგავსი საჯარო ადმინისტრირების კულტურის მქონე სახელმწიფოების

მაგალითზე და დასკვნის სახით შემოთავაზებულია კვლევის შედეგები საქართველოსთვის ოპტიმალური მოდელის გათვალისწინებით.

წინამდებარე კვლევა საშუალებას მოგვცემს გავერკვეთ უმაღლესი საჯარო მოსამსახურის ცნების ინსტიტუციონალიზაციის პოტენციურ შედეგებში - მის დადებით და უარყოფით მხარეებში.